პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 მაისი, ოთხშაბათი, 1985 წ.
101 (8912) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დედაბუნება გვიხმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

ნებისმიერ ადამიანს თავისი ბავშვური შთაბეჭდილებებიდან განსაკუთრებული სიცხადით ახსოვს პირველი კონტაქტები ბუნებასთან. ეს სურათები ფერადოვანია, რომანტიკით აღსავსე; ბავშვის ცნობიერებაში ისინი ზღაპრებისა და ლეგენდების სამყაროსთან გადაჭდობილა...

ვის, არ ახსოვს დაუვიწყარი ადგილები აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალიდან", რომლებშიც აღწერილია ბავშვისა და ბუნების ურთიერთობა. სიყვარულით ვკითხულობთ გერონტი ქიქოძის მოგონებებში გაცოცხლებულ ეპიზოდებს, სადაც იგი გვიამბობს, თუ როგორ დაჰყავდა ყმაწვილები ბუნებისმეტყველების მასწავლებელს წყალწითელაზე და როგორ აგროვებდნენ ბუნების წიაღში ექსპონატებს. ეს მხოლოდ ორიოდე მაგალითია, რაც პირველად გაგვახსენდა, თორემ ჩვენი მკითხველი თვითონ გაიხსენებს კიდევ ბევრ ფაქტს, მათ შორის საკუთარი ცხოვრებიდან.

ტურიზმი, ბუნებასთან კონტაქტი ჩვენი არსებობის განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს... არ ვიცით, უნიჭოდ და უინტერესოდ ვუწევთ პროპაგანდას ამ დარგს, არ ვიცით, ჩვენი საუკუნის მიწურულის მანქანურ-მექანიკური ცხოვრების წესია ამაში დამნაშავე, მაგრამ ტურიზმს საბოლოოდ მაინც ვერ გავუშინაურდით. იბეჭდება ათასი გზისმკვლევი, მარშრუტების სქემა, რჩევა-დარიგებანი, ინსტრუქციები, მაგრამ რატომღაც უფრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრობას ვარჩევთ, ვიდრე ბუნებაში ქვეითად ხიარულს. არადა, ტურიზმი, უპირველეს ყოვლისა, სპორტია, რომელსაც დიდი შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულებაც აქვს. სპორტი და ღირსშესანიშნაობანი, სპორტი და გართობა, სპორტი და მარადიული სიჭაბუკე — აი, ასე წარმოუდგებათ ცივილიზებულ ქვეყნებში ტურიზმის უპირველესი დანიშნულება. ჩვენ კი, თუმცა სამართლიანად მივაკუთვნებთ ჩვენს თავს ცივილიზებულ საზოგადოებას, რატომღაც სპორტულ ტურიზმს გემო ვერ გავუგეთ. ტურისტის ზურგჩანთამოკიდებული ადამიანები ჩვენი პეიზაჟის აუცილებელ ნაწილად ვერ იქცნენ, ხოლო საზოგადოების დამოკიდებულება ტურიზმისა და ტურისტებისადმი ინერტული და გულგრილია. არადა, იშვიათად, რომ მსოფლიოს რომელიმე ქვეყანას ისეთი ბუნებრივი პირობები და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები ჰქონდეს, როგორიც ჩვენს რესპუბლიკას. განა ტურიზმი უცხოა ჩვენთვის — საქართველო ყოველწლიურად საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან და უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულ მილიონობით ტურისტ-მოგზაურსა და დამსვენებელს მასპინძლობს. ჩვენ ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდებიან ისინი და ჩვენსავე რესპუბლიკაში იმის კარგ მაგალითს გვიჩვენებენ, თუ რას ნიშნავს ტურიზმი და როგორ უნდა დავისვენოთ ბუნების წიაღში. თავისთავად ცუდი როდია, პირიქით, დიდად სასარგებლოა ყველა თვალსაზრისით გარედან მოსული ტურისტების სიმრავლე, მაგრამ ის კი ნამდვილად არ არის მოსაწონი, რომ ამ მხრივ აშკარად „ვმარცხდებით საკუთარ მოედანზე"...

ეტყობა, ეგრეთ წოდებული ორგანიზებული და კოლექტიური ტურიზმის გარდა, უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ და მეტი ვიფიქროთ ინდივიდუალური ტურიზმის განვითარებაზე. იგი ისევე მასობრივი უნდა გახდეს, როგორც, მაგალითად, ინდივიდუალური დასვენებაა. იქნებ ჯობს ვიფიქროთ ამ მიმართულებით რაიმე ექსპერიმენტის შემოღებაზე ისე, რომ არც ძველი დავივიწყოთ? იქნებ ჯობს გავეცნოთ მოკავშირე რესპუბლიკების მიღწევებს კოლექტიური, ინდივიდუალური და საოჯახო ტურიზმის ხელშეწყობისა და განვითარების საქმეში, ვიანგარიშოთ ისე, რომ ტურიზმისა და ტურისტისთვისაც სასარგებლო იყოს უფრო პროგრესული ფონდები და არც სახელმწიფომ იზარალოს? ახლა ძნელია კონკრეტული მსჯელობა, ისეთ საკითხზე, რომელსაც სპეციალისტი უფრო მოერევა და გაართმევს თავს (ტურიზმი გვაქვს მხედველობაში). ამიტომ „ლელო" სთხოვს ტურიზმის თაოსნებს, ორგანიზატორებს, სპეციალისტებს, ინსტრუქტორებს, ყველას, ვისაც აღელვებს ტურიზმის დანერგვა-განვითარების პრობლემები, თავიანთი აზრი გამოთქვან ამ უაღრესად საშურ და მნიშვნელოვან საკითხზე. ეს იქნებოდა არა პოლემიკა, არა ნაკლოვანებათა ერთმანეთისათვის გადაბრალება, არამედ საერთო საქმისათვის სასარგებლო აზრთა გაცვლა-გამოცვლა და სხვადასხვა, თუნდაც, სადავო თვალსაზრისის ერთმანეთთან შეჯერება. ასეთი საუბრის საჭიროება ძალიან დიდი ხანია მომწიფდა და „ლელო" თვითკრიტიკულად აცხადებს, რომ ეს საუბარი გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო, ჯერ კიდევ ზამთარში, ტურისტული სეზონის დადგომამდე. მაგრამ ჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ნათქვამია. მით უმეტეს, რომ დადგა მოსწავლეთა და სტუდენტთა არდადეგების პერიოდი. ტურიზმი, მოგეხსენებათ, ყველა თაობის ადამიანებს სჭირდებათ; პირველ ყოვლისა, ჩვენს ახალგაზრდობას.

მაშ ასე, ტურიზმის სპეციალისტებსა და, საერთოდ, ამ პრობლემით დაინტერესებულ ყველა პირს ვიწვევთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აზრის გამოსათქმელად. მოკლედ შეგახსენებთ, საკითხთა რომელი წრე მოექცევა ამ საუბრის ყურადღების ცენტრში: რა უშლის ხელს ჩვენში ორგანიზებული, ინდივიდუალური და საოჯახო ტურიზმის შემდგომ განვითარებას; რა ახალი, პროგრესული ფორმები და მეთოდები შეგვიძლიათ შემოგვთავაზოთ ტურიზმის ხელშეწყობისათვის, როგორ დავაინტერესოთ ორგანიზაციები და ცალკეული ადამიანები ტურისტული ლაშქრობებით, ექსკურსიებით; სად შევიძინოთ და როგორ გავაუმჯობესოთ ტურისტული „ამუნიცია"; რა წამახალისებელი ჯილდოები შეიძლება დაწესდეს იმათთვის, ვინც აქტიურად, ქმედითად იზრუნებს ტურიზმის განვითარებისათვის, ვინც აქტიურად ჩაებმება ტურისტულ მოძრაობაში და ამით სხვებსაც კარგ მაგალითს მისცემს.

და ბოლოს: ტურიზმს, ჩვენი აზრით, რომანტიკული წერილებისა და ლოზუნგების გარდა სჭირდება საქმიანი, გეგმაზომიერი მუშაობა, ქმედითობა და პრაქტიკული ნაბიჯები. აი, სწორედ ესაა ჩვენი მომავალი საუბრის დედააზრიც.

დღეს თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში დაიწყება VIII საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები: უნგრეთის, იუგოსლავიის, საბჭოთა კავშირის, აგრეთვე, კუბის, რუმინეთის, შვეციის და საქართველოს ნაკრები გუნდები.

იხ. მე-3 გვ.

48 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XIII ტურის მატჩები.

საქართველოს ორივე გუნდი სტუმრად გამოდიოდა. თბილისის დინამოელები მინსკში შეხვდნენ ადგილობრივ თანაკლუბელებს (ეს იყო ამ გუნდების IV ტურის მატჩი) და დამარცხდნენ — 0:3.

ქუთაისის ტორპედოელები დნეპროპეტროვსკში შეხვდნენ ადგილობრივ „დნეპრს". გაიმარჯვეს დნეპროპეტროვსკელებმა — 2:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები:

„ქაირათი" — „არარატი" 2:0
„ტორპედო" მ. — „ნეფთჩი" 3:0
„დინამო" კ. — „სპარტაკი" 2:0
„მეტალისტი" „ზენიტი" 1:0
„შახტიორი" — „ფაკელი" 0:1.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 29 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „დინამო" (კიევი)	11	8	2	1	20-6	18 (— 4)
2. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	11	6	5	0	21-7	17 (— 5)
3. „დინამო" (თბილისი)	12	6	4	2	15-10	16 (— 8)
4. „სპარტაკი" (მოსკოვი)	12	5	6	1	17-7	16 (— 8)
5. „ტორპედო" (მოსკოვი)	12	6	3	3	15-8	15 (— 9)
6. „დინამო" (მინსკი)	11	5	5	1	14-7	15 (— 7)
7. „ქაირათი" (ალმა-ათა)	12	3	6	3	10-15	12 (—12)
8. „ფაკელი" (ვორონეჟი)	13	4	3	6	9-15	11 (—15)
9. „ტორპედო" (ქუთაისი)	12	3	5	4	10-16	11 (—13)
10. „მეტალისტი" (ხარკოვი)	11	4	2	5	13-14	10 (—12)
11. „ნეფთჩი" (ბაქო)	12	4	2	6	11-15	10 (—14)
12. „შახტიორი" (დონეცკი)	12	3	4	5	15-16	10 (—14)
13. „ზენიტი" (ლენინგრადი)	11	4	1	6	14-13	9 (—13)
14. „დინამო" (მოსკოვი)	11	3	3	5	18-16	9 (—13)
15. ახკ (როსტოვი)	12	3	3	6	12-17	9 (—15)
16. „ჩერნომორეცი" (ოდესა)	13	3	3	7	14-27	9 (—17)
17. „არარატი" (ერევანი)	12	2	4	6	12-18	8 (—16)
18. „ჟალგირისი" (ვილნიუსი)	12	2	3	7	12-26	7 (—17)



ხვალ დამთავრდება ჭაბუკთა რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მრავალდღიანი საგზატკეცილო ველორბოლა. სპორტსმენებს ბოლო ეტაპზე (თბილისი — კოჯორი და უკან) საკმაოდ რთული გამოცდა ელით. წინა ეტაპების დაწვრილებითი ანგარიში

იხ. მე-2 გვ.

რეპლიკა

ვიდრე ასპარეზობას საზეიმოდ გავხსნიდეთ

ქვემოთ ისეთ საკითხზე გვექნება საუბარი, იძულებული ვართ მკითხველი რედაქციის „სამზარეულოში" ჩავახედოთ. ჩვენთან ყოველდღიურად რეკავენ სპორტული საზოგადოებებიდან, ორგანიზაციებიდან, სპორტული ბაზებიდან თუ ფიზკულტურული კოლექტივებიდან. გვთხოვენ გაზეთის წარმომადგენელი გავგზავნოთ ამა თუ იმ შეჯიბრებაზე ან რაიმე ღონისძიებაზე. ჩვენც, ცხადია, ვცდილობთ, ყველა თუ არა, მთავარი და მნიშვნელოვანი მოვლენები მაინც არ დაგვრჩეს ყურადღების გარეშე. იმ დღეს, როცა სპორტკლუბ „შევარდენიდან" დარეკეს, თბილისში ბევრი ღონისძიება ტარდებოდა, მაგრამ „ლელოს" წარმომადგენელი ზუსტად დილის 11 საათზე გამოცხადდა სპორტკლუბის სტადიონზე, სადაც მუშათა სპარტაკიადის გახსნა იყო დანიშნული. არ დავმალავთ, შრომითი კოლექტივების ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ამსახველი მასალები გაზეთში იშვიათად იბეჭდება. თუ რატომ, ამაზე სხვა დროს გვექნება საუბარი მრგვალ მაგიდასთან, როცა რედაქციაში ფიზკულტურული კოლექტივებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოვიწვევთ.

ერთი სიტყვით, კორესპონდენტი სტადიონზე გამოცხადდა, მაგრამ 11 საათზე სპარტაკიადის საზეიმო გახსნას სახიკეთო პირი არ უჩანდა. 12 საათზე კორესპონდენტი სხვა ობიექტზე უნდა მისულიყო. „შევარდენის" სტადიონიდან პირველი ზარი რედაქციაში 11 საათსა და 45 წუთზე გაისმა — რა ვქნა, როგორ მოვიქცეო, გვეკითხებოდა კორესპონდენტი. შემდეგი დავალება გავაუქმეთ, რათა მკითხველისათვის სპარტაკიადის გახსნის შესახებ მასალა მიგვეწოდებინა. თორმეტს უკვე გადაცილებული იყო, კორესპონდენტმა მეორედ დარეკა. ახლა მესამე დავალების გაუქმებას ითხოვდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო...

რა მოხდა? უჩვეულო არაფერი. თავი იჩინა არაორგანიზებულობამ, რაც არცთუ იშვიათია არა მარტო შიდასაკოლექტივო, არამედ რაიონული შეჯიბრებების დროსაც კი. ამ გაზაფხულზე ამავე სტადიონზე ჩატარდა ჯანმრთელობისა და სპორტის დღესასწაული. საზეიმო ცერემონიალის დაწყება მაშინაც ძალიან დაგვიანდა. (აქ სპორტკლუბი არაფერ შუაშია, ღონისძიებას რაიონი ატარებდა). ნანა იოსელიანი, რომელიც ჭადრაკში ერთდროული სეანსის ჩასატარებლად მიიწვიეს, ერთი საათის ლოდინის შემდეგ უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ... ისევ რედაქციის წარმომადგენლებმა ითავეს, ხალხში ჭადრაკის მოყვარულები შეარჩიეს და ერთდროული თამაშის სეანსიც შედგა.

ვიმეორებთ, ასეთი შემთხვევები გამონაკლისი არ არის. როგორც ჩანს, დადგა დრო, მკაცრად მოვთხოვოთ პასუხი ყველას, ვინც გულგრილად ეკიდება მინდობილ საქმეს, ვინც სიტყვით ზეიმს არქმევს ამა თუ იმ ღონისძიებას, საქმით კი აუფასურებს მის მნიშვნელობას. ვითომ აუცილებელია ასეთი ზეიმები გავმართოთ, როცა საამისოდ მზად არა ვართ? არც იმას დავმალავთ, რომ ზოგჯერ ასეთი ზარ-ზეიმი ვიღაცის თვალის ახვევას ისახავს მიზნად — ნახეთ, რა კარგად ვმუშაობთ. იმის მოწმენიც ხშირად ვყოფილვართ, ასეთი ხმაურით და რიხით დაწყებული კომპლექსური ასპარეზობა ულიმღამოდ, უფერულად რომ წარმართულა და შუა გზაშიც შეწყვეტილა.

არ გვინდოდა ყველაფერი ეს ერთი სპორტკლუბის სპარტაკიადის გახსნასთან დაკავშირებით გაგვეხსენებინა, მაგრამ თავს ვერ მოვიტყუებთ — რა შთაბეჭდილებაც დაგვრჩა და რაც სინამდვილეში იყო, ის ვთქვით მხოლოდ.

ჭაბუკთა I რესპუბლიკური თამაშები

შორიდან მოგვიწევს ყურება

გორიდან გამოსულ ველოსიპედისტთა 41-კაციან ჯგუფს ათიოდე წუთის შემდეგ ხუთი სპორტსმენი გამოეყო. დაწინაურებულებს რბოლის ლიდერმა, მცხეთელმა ივანე სოლოლაშვილმა მშვიდად გააყოლა თვალი, თბილისის გუნდის წევრებმა კი მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს: მართალია, იმ ხუთი ველომრბოლელიდან პირად ჩათვლაში ლიდერთა შორის არც ერთი არ იყო, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, რუსთაველი ედუარდ ბალაგურას დაწინაურება თბილისელებს არ უნდა გამოეპაროთ, რადგან ამ ეტაპამდე რუსთავის ნაკრები ორ წამს უგებდა მათ და ბალაგურას მანევრის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ეს სხვაობა უფრო გაიზრდებოდა. მართლაც ასე მოხდა. დაწინაურებულებს იგოეთთან სომხეთის ოლიმპიური მომზადების გუნდის წევრი ზორიკ კოციანი შეუერთდა და ამ ექვსეულმა ძირითად ჯგუფზე ორი წუთით ადრე გადაკვეთა თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მოწყობილი ფინიში. ასე დამთავრდა საგზატკეცილო „მრავალდღიანი რბოლის „სოხუმი—თბილისის" მე-5 ეტაპი. რბოლა ჭაბუკთა I რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გაიმართა...

მრავალდღიანი რბოლა მეტად საინტერესო შეჯიბრებაა. ამაში დაგვეთანხმებიან ისინი, ვინც მშვიდობის ველორბოლას ადევნებდა თვალს. რა თქმა უნდა, რესპუბლიკური შეჯიბრება ბრძოლის სიმწვავით, მონაწილეთა რაოდენობით მას ვერ გაუტოლდება, მაგრამ ერთგვარი ანდამატი მასაც აქვს. და მაინც საქართველოში მრავალდღიანი რბოლების ჩატარება მხოლოდ არსებული რესურსების (ინვენტარი, ფორმა, ავტომანქანები და სხვა) „ტოტალური მობილიზაციით" თუ ხერხდება. ხშირად ვერც ეს შველის საქმეს. მაგალითად, ზემოაღნიშნულ შეჯიბრებაში, რომელშიც საქართველოს 6 და სომხეთის ორი გუნდი მონაწილეობდა, შეჯიბრების ორგანიზატორებს სრული უფლება ჰქონდათ ძველ, გახუნებულ ფორმაში გამოწყობილი ქუთაისელთა გუნდი შეჯიბრებაზე არ დაეშვათ. თავიანთი ფულით შეძენილი ფორმა დებულებით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ეცვათ რუსთაველ მრბოლელებს. ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებაზე სჯობს არ ვილაპარაკოთ. მაგალითად, ლაგოდეხის გუნდის ღირსებას იმის გამო, რომ მათ გამყოლი მანქანა არ ჰყავდათ, მხოლოდ სამი სპორტსმენი იცავდა. მწვრთნელს გივი ყაველაშვილს საკუთარი მანქანით მხოლოდ სამი ველოსიპედისტის მეურვეობა შეეძლო. რუსთავის გუნდს გამყოლი მანქანა (დაქირავებული სამარშრუტო ტაქსი) მხოლოდ შეჯიბრების წინ გამოუყვეს და ისიც ქალაქის პარტიული ხელმძღვანელი მუშაკის უშუალო ჩარევის შემდეგ... სამწუხაროდ, თბილისში მოწყობილ ფინიშზე, მასპინძელთა გარდა, არც ერთი სხვა გუნდის წარმომადგენელი არ მოსულა. ალბათ, კაბინეტში ჩირთმეული შეჯიბრების ოქმების მიხედვით შეაქებენ ან გაკიცხავენ თავიანთ მწვრთნელებს. ერთი სიტყვით, თუ ასე გაგრძელდა, საგზატკეცილო ველორბოლის მოყვარულთა ნუგეშად მხოლოდ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების შორიდან ცქერა დარჩებათ.

ჭაბუკთა რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გამართული რბოლის დამთავრებამდე კიდევ სამი ეტაპი დარჩა, ჯერჯერობით ლიდერი მხოლოდ ერთხელ შეიცვალა. პირველი მონაკვეთი — სოხუმი — ხობი სერგეი პოტილიცინმა (აფხაზეთი) მოიგო — 3:30.15 ბონიფიკაციით. მომდევნო ეტაპზე (ხობი — ქუთაისი) კი სოლოლაშვილმა იმარჯვა (2:04.45) და რბოლას სათავეში ჩაუდგა. მეორე ადგილზე ქუთაისელმა ნუგზარ თევდორაძემ გადაინაცვლა და ამ წყვილმა სოხუმი—თბილისის მონაკვეთი ასეთი თანამიმდევრობით დაამთავრა. ახლა სოლოლაშვილი წუთზე მეტს უგებს თავის მეტოქეს. თევდორაშვილს 20 წამით ჩამორჩება ჩვენი სტუმარი არა გალსტიანი (10:43.33). აღსანიშნავია, რომ სოლოლაშვილი პირად ჩათვლაში გამოდის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს ლიდერის ტვირთს თბილისელი მრბოლელები უმსუბუქებენ და საჭირო შემთხვევაში ეხმარებიან კიდეც.

გუნდურ ჩათვლაში თავდაპირველად თბილისელები დაწინაურდნენ, მაგრამ რუსთაველმა სპორტსმენებმა მათ ერთ წუთზე მეტი მოუგეს ყველაზე მოკლე — მესამე ეტაპზე (ქუთაისი — ზესტაფონი, 25,5 კმ) და ორი წამით გაუსწრეს მათ. ეს სხვაობა ყველაზე გრძელი, მეოთხე ეტაპის (ზესტაფონი — გორი, 120 კმ) შემდეგაც არ შეცვლილა. უკანასკნელ ეტაპზე კი ედუარდ ბალაგურას წყალობით რუსთავის გუნდმა უკვე 2 წუთზე მეტით ჩამოიტოვა მეტოქე. მესამე ადგილზეა სომხეთის ოლიმპიური მომზადების ცენტრის გუნდი (32:59.06), რომელიც 3.29-ით ჩამორჩება თბილისელებს.

ხვალ და ზეგ გაიმართება რბოლის უკანასკნელი სამი ეტაპი: თბილისი — დუშეთი — თბილისი; თბილისი — წითელი ხიდი— თბილისი და თბილისი — კოჯორი — თბილისი.

მეხუთე ეტაპზე (თბილისი — დუშეთი — ბაზალეთი — თბილისი) არც გუნდურ და არც პირად ჩათვლაში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა. რბოლას ლიდერობს რუსთავის გუნდი და მცხეთელი ივანე სოლოლაშვილი, რომელიც მხოლოდ პირად ჩათვლაში ასპარეზობს.

მაგრამ მშვიდი ხასიათი რბოლას მხოლოდ ერთი შეხედვით თუ ჰქონდა. დუშეთის ასახვევამდე რაიმე გართულება არც იყო მოსალოდნელი. ლარივით სწორ გზაზე დაწინაურება ვერავინ მოახერხა. ერთხანს ჯგუფს ქუთაისელი ნუგზარ თევდორაძე გამოეყო. მას უმალ სომხეთის გუნდის წარმომადგენელი (ოლიმპიური მომზადების ცენტრი) სურენ მკრტიჩიანი და აფხაზეთის ნაკრების წევრი სტანისლავ ცაავა აედევნენ. ბაზალეთის მიდამოებში მანძილი ლიდერთა სამეულსა და ძირითად ჯგუფს შორის საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ როგორც შემდგომში გაირკვა, ეს უპირატესობა მოჩვენებითი იყო.

ძირითადი ჯგუფი მშვიდად, მეთოდურად ამცირებდა სხვაობას და თბილისის მისადგომებთან გაუთანაბრდა კიდეც დაწინაურებულებს. ყველაფერი ნათელი გახდა: რბოლის ბედი ამჯერადაც ფინიშთან უნდა გადაწყვეტილიყო.

ასეთ პირობებში ტაქტიკურ მანევრირებაზე აღარავინ ფიქრობს ხოლმე. ველოსიპედისტებმა ძალები შემოინახეს და მაქსიმალური სისწრაფე მხოლოდ ბოლო აღმართზე განავითარეს. აი, სწორედ აქ გახდა ცხადი, რომ ივანე სოლოლაშვილს ლიდერის ყვითელი მაისური ტყუილად არ სცმია. უკანასკნელ მეტრებზე მან სპრინტერული სისწრაფე „ჩართო" და საკონტროლო ხაზი ყველაზე ადრე გადაკვეთა — 2:36.54. ფინიშთან მეორე აფხაზეთის გუნდის წევრი სერგეი პოტილიცინი მიიჭრა, მესამეზე იყო არშან ალვანდიანი (ოლიმპიური მომზადების ცენტრი, სომხეთი).

დღეს ველორბოლის მეექვსე ეტაპი გაიმართება: თბილისი—წითელი ხიდი — თბილისი.

გიორგი ჯოჩიშვილი.

ივანე სოლოლაშვილი

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„ასე ძალოსნობა არ აღორძინდება"

ახლახან ცხინვალში გაიმართა ძალოსანთა რესპუბლიკური პირადგუნდური ჩემპიონატი, რომლის შესახებაც გიამბობდით „ლელოს" 25 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში „ასე ძალოსნობა არ აღორძინდება". წერილში ნათქვამი იყო: „შეჯიბრებაში არასრული გუნდები გამოგზავნეს „კოლმეურნემ" და პროფკავშირულმა სპორტსაზოგადოებამ. დიახ, იმ „კოლმეურნემ", რომელიც ხშირად ამ შეჯიბრების ჩემპიონი ხდებოდა".

ამ საკითხზე ოპერატიულად იმსჯელა „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა. სოფლის სპორტსმენთა გამოსვლა ზემოთ დასახელებულ შეჯიბრებაში პრეზიდიუმმა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს **ხ. თათეოსიანს**, რომელმაც ვერ უზრუნველყო გუნდის მომზადება და დაკომპლექტება, **გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.** მწვრთნელ **ა. ჭითაძეს გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით,** ხოლო სასწავლო-საწვრთნელი შეკრების უფროსს **თ. ნიკოლეიშვილს მკაცრად მიეთითა.**

პრეზიდიუმი ივნისში საგანგებოდ იმსჯელებს სოფლის სპორტსმენთა შორის ძალოსნობის შემდგომი განვითარების ღონისძიებებზე.

„ლელოში" გამოქვეყნებულ იმავე წერილში ნათქვამი იყო, რომ „შეჯიბრებაზე საერთოდ არ გამოცხადდნენ „ბურევესტნიკის", „შრომითი რეზერვების" და „სპარტაკის" ათლეტები".

პასუხს ამ სპორტული საზოგადოების ხელმძღვანელებისგანაც ველით.

„შაში — საოცრება" ვანში

ვანში დამთავრდა „შაში — საოცრების" პრიზის რესპუბლიკური გათამაშება პიონერრაზმეულთა გუნდებს შორის. ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის კიკვიძის სახელობის 169-ე, სამტრედიის რკინიგზის მე-13, საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდისა და ვანის საშუალო სკოლების პიონერრაზმეულთა გუნდები (თითოეულში 3 ბიჭი და ერთი გოგონა იყო).

შეჯიბრება ორ წრედ ჩატარდა. 20,5 ქულით I ადგილი და პრიზი მოიპოვეს თბილისელმა მოსწავლეებმა: სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა დიმიტრი ბოჭორაძემ და თამაზ ქეთიშვილმა, პირველთანრიგოსნებმა დათო ხოსრუაშვილმა და ეკა სამადაშვილმა. 13,5 ქულით II ადგილი საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა დაიკავეს, III ადგილზე სამტრედიის წარმომადგენლები გავიდნენ (12,5 ქულა).

ამრიგად, გამარჯვებული, თბილისის 169-ე საშუალო სკოლის გუნდი მონაწილეობას მიიღებს „შაში—საოცრების" პრიზის საკავშირო გათამაშებაში, რომელიც აგვისტოში კიროვაკანში გაიმართება.

ვლადიმერ კანდელაკი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

თბილისის VII საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში

დიდი ბატალიების დაწყებამდე

წყალბურთელთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი პირველად 1979 წელს გაიმართა. მაშინ ამ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთისა და კუბის ახალგაზრდული გუნდები, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები კოლექტივები. 1981 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირი ფინა-ს კალენდარში შეიტანეს და ტრადიციული ოფიციალური სტატუსიც მისცეს. სხვადასხვა წლებში ამ ტურნირში მონაწილეობდნენ: ბულგარეთის, უნგრეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, იტალიის, კუბის, ჰოლანდიის, რუმინეთის, გფრ-ს, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს საბჭოთა წყალბურთელებმა, რომლებმაც ხუთჯერ მოიპოვეს მთავარი პრიზი.

ტურნირის მუდმივი მასპინძელი — თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი სპეციალისტთა მიერ ევროპაში საუკეთესოდ აღიარეს. აქ 222 მატჩი გაიმართა და 1873 გოლი გავიდა. ყველაზე უხვგოლიანი 1983 წლის ტურნირი გამოდგა, მაშინ ასპარეზობის მონაწილე 8 გუნდის კარში 528 ბურთი გავიდა. სსრ კავშირის წყალბურთელებმა თბილისის ტურნირებში 33 შესაძლებლიდან 28-ჯერ გაიმარჯვეს, 5 შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. მეტოქეთა კარში გაიტანეს 320 ბურთი, საკუთარში კი 194 გაუშვეს. ამ მხრივ ტურნირის სხვა მუდმივ მონაწილეთა (საქართველო, კუბა) მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება ლიდერის შედეგს.

მიუხედავად კუბელ და ქართველ წყალბურთელთა გამარჯვების, დამარცხების და ფრეთა თანაბარი რაოდენობისა (შესაბამისად 11, 17, 5), გუნდების საერთო ბალანსი სხვადასხვა წლებში განსხვავებულია. მაგალითად, კუბის ნაკრებმა 1979 წელს III ადგილი დაიკავა, 1980 წელს კი — II. საქართველოს ნაკრები ორჯერ—1980 და 1984 წლებში მესამე იყო. თამაზ კუტივაძემ (საქართველო), ხორხე რიზომ (კუბა), აგრეთვე ვლად ხაჯიუმ (რუმინეთი) თავისებური რეკორდი დაამყარეს: თბილისის ტურნირში თითო თამაშში 7-7 ბურთი გაიტანეს. აქვე შეგახსენებთ, რომ ხაჯიუ სამი წლის განმავლობაში (1982-83-84 წლებში) თბილისის ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. რაკი სიტყვა რეკორდებზე ჩამოვარდა, ვიტყვით, რომ ყველაზე დიდი ანგარიშით დამთავრდა სსრ კავშირისა და შვეციის გუნდების შეხვედრა (1982 წ. — 16:5). 1980 წელს კი, ბულგარეთისა და საქართველოს წყალბურთელთა მატჩში საფეხბურთო ანგარიში აღინიშნა — 2:2.

წლევანდელი ტურნირის დაწყებამდე ათი დღით ადრე თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელმაც ამხანაგური მატჩები და ერთობლივი ვარჯიშები ჩაატარა საქართველოს გუნდთან.

● რას იტყვით, როგორ თამაშობს საქართველოს ნაკრები? — ვკითხეთ საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრების ახალ მწვრთნელს ალექსანდრე კაბანოვს.

— თბილისის დინამოელთა გუნდი, იგივე საქართველოს ნაკრები, ამ ბოლო დროს სულ უფრო სტაბილურად გამოდის. ჩემი აზრით, თქვენი ბიჭები ახლა უფრო აზრიანად, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაციონალურად თამაშობენ. აქამდე ისინი პირველ ორ პერიოდში იწყვეტდნენ ძალას, ახლა კი ცდილობენ ძალა გამოიზოგონ და ბოლომდე ენერგიულად იბრძოლონ. გუნდს უკვე დატყობია უფროსი მწვრთნელის ირაკლი ჩხიკვაძისა და მწვრთნელის ბორის მეგედის ხელი. თქვენს გუნდში კარგი ახალგაზრდები მოსულან, თუმცა, ჩემი აზრით, თამაშს ტონს კვლავინდებურად გამოცდილი მოთამაშეები აძლევენ, პირველ ყოვლისა, გუნდის კაპიტანი დავით რურუა, თამაზ კუტივაძე, დევი გვახარია, გია ზუმბულიძე. მეკარეები მიხეილ გიორგაძე და გელა ტუკვაძე.

● საბჭოთა კავშირის ნაკრები უახლოეს მომავალში სად აპირებს გამოსვლას?

— 18-დან 23 ივნისამდე იუგოსლავიაში ვიქნებით, მონაწილეობას მივიღებთ საერთაშორისო ტურნირში. ივლისის პირველ რიცხვებში ესპანეთში გადავინაცვლებთ, ორი კვირის შემდეგ კი დასავლეთ გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში ვცდით ძალას. წლის ყველაზე საპასუხისმგებლო შეჯიბრება — ევროპის ჩემპიონატი — სოფიაში გაიმართება.

● ცნობილია თუ არა ვინ ითამაშებს საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზე?

— ძველმა გუნდმა ოდნავ სახე იცვალა. როგორც იცით, ნაკრებს გამოვეთხოვეთ ერვინ შაგაევი და მე. მეორე მეკარის პრობლემა ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. ევგენი შარონოვს გვინდა მივაშველოთ ან თბილისის დინამოელთა კარის დარაჯი მიხეილ გიორგაძე, ან მოსკოვის „დინამოს“ მეკარე ოლეგ პუზანკოვი.

● როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება ევროპის ჩემპიონატის ფავორიტი?

— ძნელი გამოსაცნობია. ახლახანს დასავლეთ გერმანიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში ადგილები ასე განაწილდა: გფრ, აშშ, ესპანეთი, იუგოსლავია, იტალია. ჩავსვათ ამ სიაში აშშ-ის ნაკრების ნაცვლად უნგრეთის ძლიერი გუნდი. აი, სავარაუდო მრისხანე მეტოქეები. სიურპრიზია მოსალოდნელი ნიდერლანდებისაგან. მათ მსოფლიოს თასის გათამაშებაში ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ესპანელებთან და 1984 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ იუგოსლავიის გუნდთან. ერთი სიტყვით, დიდი ბატალიები გველის.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია. აქ ვიხილავთ სახელგანთქმულ წყალბურთელებს: ქართველ გიორგი მშვენიერაძეს, რუმინელ ლად ხაჯიუს, უნგრელ დიერდი გერენდაშს, კუბელ ხორხე რიზოსა და სხვებს.

პეპი ბოჟორიშვილი.

დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 17 საათზე — კუბა — შვეცია, 18 საათზე — უნგრეთი — რუმინეთი, 19 საათსა და 30 წუთზე — საქართველო — სსრკ.

შეჯიბრების საზეიმო გახსნა მოეწყობა 19 საათზე.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

ამ დღეებში გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც მოისმინეს ჩვენი ქვეყნის იუნიორთა გუნდის უფროსი მწვრთნელის სერგეი მოსიაგინის მოხსენება იმის თაობაზე, თუ როგორ ემზადება გუნდი მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის. როგორც ცნობილია, ჩემპიონატის მატჩები 24 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე გაიმართება თბილისის, ბაქოს, ერევნის, მინსკის, ლენინგრადისა და მოსკოვის სტადიონებზე.

ს. მოსიაგინმა აღნიშნა, რომ ნაკრების მზადება მიმდინარეობს დამტკიცებული გეგმის მიხედვით. მოეწყო რამდენიმე სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, გაიმართა 16 ამხანაგური და საკონტროლო თამაში. ივლისში ჩვენი ფედერაცია ფიფა-ს გაუგზავნის ნაკრების 30 კანდიდატის სიას, ხოლო მოგვიანებით — გუნდის საბოლოო შემადგენლობას (18 ფეხბურთელი). მზადების საბოლოო ეტაპი ჩაივლის აგვისტოს შუა რიცხვებში მინსკის სპორტულ ბაზაზე, იქ, სადაც საბჭოთა ნაკრები თამაშობს ტურნირის წინასწარ ჯგუფში.

თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტები ა. სტაროსტინი, გ. კაჩალინი, ს. სავინი, ა. პარამონოვი, ე. როგოვი, ვ. კოლოსკოვი.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ნაკრების მზადება პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს და მწვრთნელთა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საჭიროა წარმატებით გადაიჭრას მზადების დასკვნითი ეტაპის კონკრეტული ამოცანები.

I ლიგა

27 მაისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, XII ტურის შეხვედრები.

დასავლეთი ზონა. ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი)—„ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:0.

აღმოსავლეთი ზონა. „კუზბასი“ (კემეროვო) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:1, ასკ (ხაბაროვსკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:0, ცსკა— „როტორი“ (ვოლგოგრადი) 1:1, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1.

25 აპრილს ბათუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მარცხი განიცადეს რიგის „დაუგავასთან“ შეხვედრაში — 1:2. ანგარიში უკვე პირველივე წუთზე გახსნა რიგელმა სტარკოვმა, მე-8 წუთისთვის კი გორგილაძემ საპასუხო ბურთი გაიტანა. 64-ე წუთზე რიგელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც ჩელებაძემ ვერ გაიტანა, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ინტენბერგმა მეორე ბურთი მოათავსა მასპინძელთა კარში.

შემდგომ, XIII ტურში ბათუმის დინამოელები ისვენებენ, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ რიგაში ეთამაშება „დაუგავას“.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 29 მაისისთვის

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლოსი“	11	6	2	3	15-10	14
„დაუგავა“	11	5	4	2	16-8	14
ასკ. „კარპ.“	11	4	6	1	11-4	14
„დინამო“ სტ.	11	4	3	4	7-5	11
„დინამო“ ბ.	11	4	3	4	13-13	11
„მეტალურგი“	11	4	3	4	6-10	11
„ნისტრუ“	11	4	3	4	10-16	11
„კოტაიკი“	11	4	2	5	12-11	10
„სპარტაკი“	11	4	2	5	11-12	10
„ყუბანი“	11	3	1	7	11-17	7
„გურია“	10	2	3	5	5-11	7

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შინიკი“	11	6	4	1	13-8	16
„პამირი“	11	6	2	3	13-6	14
ასკ ხ.	11	6	1	4	17-16	13
ცსკა	11	4	4	3	19-10	12
„კრ. სოვეტ.“	11	4	4	3	9-9	12
„ლოკომოტ.“	11	5	1	5	11-18	11
„ფახთაქორი“	10	4	3	3	11-9	11
„როტორი“	11	2	6	3	12-11	10
„კუზბასი“	11	4	1	6	14-14	9
„ზვეზდა“	11	2	3	6	12-20	7
„ისკრა“	11	1	3	7	5-15	5

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„ივერია“ (ხაშური) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი მ. პელიძე (თბილისი). გოლი გაიტანა ხაჩიძემ.

„დურუჯი“ (ყვარელი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 3:3. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი). გოლები: ოსაძე, მინდიაშვილი, ნერსეზაშვილი („დურუჯი“), დოლიძე — 2, ბეს. უგულავა („მადნეული“).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „კახეთი“ (თელავი) 1:1. მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი). გოლები: ჯიოევი („სპარტაკი“), მაისურაძე („კახეთი“).

„იმედი“ (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:1. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: ო. შენგელია-2, მიქელაშვილი („იმედი“), იორამაშვილი („არმაზი“).

გააფრთხილეს მცხეთელი ფეხბურთელები ნ. დოლიაშვილი, თ. ხალოევი და თბილისელი დ. რეხვიაშვილი.

„ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ავტომობილისტი“ (თბილისი) 1:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).

„არაგვი“ (დუშეთი) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:4. მსაჯი ბ. ღარჩია (თბილისი). გოლები: წიკლაური-2 („არაგვი“), მენთეშაშვილი, ტყავაძე, ქობელაშვილი-2 („შევარდენი“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:3. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები: პაიჭაძე, მანუჩაროვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ხურცილავა, ავაქიანი, ბოლქვაძე („მეტალურგი“).

გააფრთხილეს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი ნ. სვიმონიშვილი.

გათამაშების ცხრილები

აღმოსავლეთი ზონა

მდგომარეობა 29 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კახეთი“	12	8	2	2	22-12	18
ფიზკ. ინს.	12	6	4	2	27-18	16
„მეტალურგი“	12	6	3	3	22-12	15
„შევარდენი“	12	6	3	3	20 11	15
„ავტომობილ.“	12	5	4	3	15-15	14
„არმაზი“	12	6	1	5	18-16	13
„ივერია“	12	4	5	3	15-14	13
„მადნეული“	12	5	2	5	23-20	12
„სპარტაკი“	12	4	4	4	19-20	12
„იმედი“	12	4	3	5	23-20	11
„დურუჯი“	12	4	3	5	22-26	11
„ჰერეთი“	12	2	3	7	18-29	7
„ქართლი“	12	3	0	9	12-25	6
„არაგვი“	12	1	3	8	7-25	5

დასავლეთი ზონა

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მზიური“ (გალი) 2:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: ქავთარაძე, ციმაკურიძე.

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (გაგრა) 1:1. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე). გოლები: ლომიძე („საპოვნელა“), ტესლენკო („დინამო“).

„კოლხეთი“ (ხობი) — „მაღაროელი“ (ტყიბული) 1:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი). გოლები: ბუკია („კოლხეთი“), სევასტოპულო („მაღაროელი“).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:3. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი). გოლები: დადუნაშვილი, გურიელიძე, შარაბიძე.

გააფრთხილეს ზუგდიდელი ბ. თუთბერიძე და ზესტაფონელი ზ. გურიელიძე.

„სქური“ (წალენჯიხა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:2. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი). გოლები: ქვირტია, ლუკავა („სქური“), კერესელიძე-2 („შადრევანი“).

„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სულორი“ (ვანი) 1:0. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). ბურთი გაიტანა ჯავახაძემ.

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 5:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: ყურაშვილი, გერგელი, დარასელია, კირთაძე, ჩიქობავა.

გააფრთხილეს ცხაკაიელი ი. გაბისკირია და ქუთაისელი ბ. კაკაბაძე.

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შადრევანი“	11	7	2	2	26-13	16
„ამირანი“	11	5	4	2	20-11	14
„ეგრისი“	11	6	1	4	16-13	13
„საპოვნელა“	11	5	3	3	17-13	13
„კოლხეთი“	11	5	3	3	15-14	13
„მეტალურგი“	11	6	0	5	20-15	12
„სულორი“	12	5	2	5	18-13	12
„ბახმარო“	11	5	2	4	12-12	12
„იმერეთი“	12	4	4	4	18-20	12
„დინამო“ გ.	11	4	4	3	14-16	12
„სამეგრელო“	12	4	1	7	14-18	9
„მაღაროელი“	11	3	3	5	13-21	9
„დინამო“ ზ.	11	3	2	6	16-18	8
„სქური“	11	2	3	6	15-28	7
„მზიური“	11	2	2	7	13-22	6

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა. „აკრანი“ (მარტყოფი) — „კოლმეურნე“ (მარნეული) 0:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ქიზიყი“ (წნორი) 4:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:0, „სამგორი“ (გარდაბანი) — „თრიალეთი“ (წალკა) 1:2, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „იორი“ (თიანეთი) 4:2, „ალგეთი“ (მარნეული) — „მაშავერა“ (დმანისი) 5:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „იმედი“ (რუსთავი) 3:0.

ცენტრალური ზონა. „ხვამლი“ (ცაგერი) — „იბერია“ (ქარელი) 2:2, „რაჭა“ (ამბროლაური) —პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 2:7, „თორი“ (ბორჯომი) — „განთიადი“ (კასპი) 3:1, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „ვარძია“ ასპინძა) 1:1, „ჩიხურა“ (საჩხერე)— „აბული“ (ახალქალაქი) 2:0, „მესხეთი“ (ახალციხე) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 0:0.

დასავლეთი ზონა. „ენგური“ (ზუგდიდი) — „კოლხეთმშენი“ (ფოთი) 0:0, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „ნაპერწკალი“ (ოჩამჩირე) 5:0, „გიგანტი“ (ლაითური) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 2:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 3:0, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 3:0, „ნარინჯი“ (ნატანები) — „კოლმეურნე“ (ჩაქვი) 4:1.

ცხაკაიას „სენაკს“ წაგება ჩაეთვალა ქედის „აკავრეთასთან“ გამოუცხადებლობისთვის.

გვეზრდება საიმედო ცვლა

მთელი ჩვენი ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობა, ფეხბურთის მოყვარულები შეუნელებელი ყურადღებით ვადევნებდით თვალს ევროპის ჭაბუკ ფეხბურთელთა არაოფიციალური ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩებს, რომლებიც უნგრეთის ქალაქების სტადიონებზე მიმდინარეობდა. დიდად გვახარეს ჩვენმა ჭაბუკმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც თავიანთ ჯგუფში დაამარცხეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, უნგრეთის, პორტუგალიის გუნდები და პირველი ადგილი დაიკავეს. ნახევარფინალში მათ მოუგეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს და ფინალში გავიდნენ, სადაც ანგარიშით 4:0 დაამარცხეს საბერძნეთის ჭაბუკთა ნაკრები.

შესანიშნავი მაჩვენებლებია: 5 მატჩი, 5 გამარჯვება, გატანილი და მიღებული ბურთების საერთო შეფარდება 15:4.

დიდად სასიხარულოა ისიც, რომ საბჭოთა ნაკრებში საუკეთესო თამაშით გამოიჩინეს თავი თბილისის „დინამოს“ ახლანდელმა წევრებმა — ალან კულუმბეგოვმა, მამუკა ფანცულაიამ, ზაზა რევიშვილმა და ვასილ მიქაშავიძემ, რომლებმაც მოსკოველ, ვორონეჟელ, ერევნელ, ხარკოველ, ნიკოპოლელ, სხვა ქალაქების წარმომადგენელ თანატოლებთან ერთად წარმატებით დაიცვეს თავიანთი გუნდის ღირსება.

წარმატება, უდავოდ, დიდია. იმედი გვაქვს, ჩვენი დღევანდელი ჭაბუკები არ დაკმაყოფილდებიან მიღწეულით, გაორკეცებული ძალით ივარჯიშებენ და მათი სახით საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდებს ღირსეული ცვლა ეყოლებათ.

საკავშირო შეჯიბრება მძლეოსნობაში

კარგად მომზადებული ხვდებიან

მაია აზარაშვილი

ბესიკ გოცირიძე

თუმცა უკვე ვღებულობთ ცნობებს ღია ცის ქვეშ გამართული მძლეოსანთა შეჯიბრებების შესახებ, მაგრამ საზაფხულო მძლეოსნური სეზონი ფაქტიურად ახლა იღებს სტარტს. საპასუხისმგებლო სეზონს კარგად მომზადებულნი ხვდებიან საქართველოს წამყვანი მძლეოსნები. სოჭში გამართულ საკავშირო პირველობაზე მათ ორი საპრიზო ადგილი მოიპოვეს. ქალთა შორის 200-მეტრიან დისტანციაზე ფინალურ გარბენში მაია აზარაშვილმა („კოლმეურნე") 23,60 აჩვენა და მხოლოდ წამის 4 მეასედით ჩამორჩა გამარჯვებულს — გროზნოელ სპორტსმენს ლილია ნოვოსელცოვას. მაია მესამე ადგილზე გავიდა. თითქმის იგივე სურათი განმეორდა ვაჟთა ფინალში. თბილისელმა ბესიკ გოცირიძემ („შრომითი რეზერვები") შესანიშნავად გაირბინა დისტანცია (21,40) და ფინიშთან მეორე მიიჭრა. გამარჯვება აქ მინსკელ შიშოვს ხვდა — 21,36. აღსანიშნავია, რომ აზარაშვილსაც და გოცირიძესაც ევგენი გაგუა ავარჯიშებს.

მძლეოსნობის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრებები იქნება ევროპისა და მსოფლიო თასის გათამაშება. პირველი 17–18 აგვისტოს მოსკოვში გაიმართება, მეორეს კი 4-6 ოქტომბერს ავსტრალიის ქალაქი კანბერა უმასპინძლებს.

ევროპის საკლუბო ტურნირები — ჩემპიონთა თასი

„ლივერპული" — „იუვენტუსი"

ეს გახლავთ ჩემპიონთა თასის 30-ე ფინალი. „ლივერპული" ოთხჯერ (1977, 1978, 1981, 1984 წლებში) ფლობდა ევროპის საკლუბო ფეხბურთის ყველაზე საპატიო პრიზს, „იუვენტუსმა" კი, თუმცა თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის ტურნირებში გაიმარჯვა, ჩემპიონთა თასი ჯერაც არ მოუპოვებია.

მაშ ასე, დღეს, 29 მაისს ბრიუსელში ერთმანეთს ხვდებიან ევროპული ფეხბურთის გრანდები — „ლივერპული" და ტურინის „იუვენტუსი".

რა გზით მივიდნენ მეტოქეები ფინალამდე? „ლივერპულმა" მეთექვსმეტედფინალში ორჯერ (1:0, 4:0) სძლია პოლონეთის „ლეხს", მერვედფინალში ლისაბონის „ბენფიკას" აჯობა (3:1, 0:1), მეოთხედფინალში დაამარცხა ვენის „აუსტრია" (1:1, 4:1), ხოლო ნახევარფინალში — ათენის „პანათინაიკოსი" (4:0, 1:0).

„იუვენტუსმა" შესაბამისად მოუგო ჯერ ტამპერეს „ილვესს" ფინეთში (4:0, 2:1), შემდეგ ციურიხის „გრასჰოპერსს" (2:0, 4:2), მეოთხედფინალში — პრაღის „სპარტას" (3:0, 0:1), ნახევარფინალში — ბორდოს „ჟირონდას" (3:0, 0:2).

„ლივერპულის" ძირითადი შემადგენლობა ამჟამად ასეთია: გრობელაარი, ნილი, ლორენსონი, ჰანსენი, ბეგლინი, ლი, მაკდონალდი, უორკი, უილანი, რაში, დალგლიში. ამ ფეხბურთელთა უმრავლესობა კარგად არის ცნობილი ჩვენი გულშემატკივრებისთვის. გაზაფხულიდან მოყოლებული, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრა ირლანდიის ნაკრების მოთამაშემ ბეგლინმა, რომელმაც ჩინებული გოლიც გაიტანა „პანათინაიკოსთან" პირველ მატჩში. „ლივერპული" ყველა რგოლში ძლიერი ოსტატებით არის დაკომპლექტებული. თავდასხმაში კვლავინდებურად ბრწყინავს რაშ-დალგლიშის დუეტი. სანამ დალგლიში დისკვალიფიცირებული იყო, რაშს აშკარად აკლდა მხარდაჭერა. ნახევარფინალში დალგლიში (მას 96 მატჩი აქვს ჩატარებული შოტლანდიის ნაკრებში) ისევ გამოვიდა მინდორზე და „პანათინაიკოსის" მცველებს დიდი ჯაფა დააყენა. „ლივერპულის" მცველი ჯო ფეიგანი, რომელიც კარგა ხანია გამოეთხოვა ინგლისის ჩემპიონობაზე ოცნებას, ახლა მთელ იმედს სწორედ დღევანდელ ფინალურ მატჩზე ამყარებს.

„ლივერპულის" არ იყოს, „იუვენტუსის" მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონიც კარგა ხანია დარწმუნდა, რომ იტალიის ჩემპიონობას ვერ შეინარჩუნებდა. მას გუნდში თანდათან შეჰყავს ახალგაზრდა ფეხბურთელები. ამას წინათ იტალიურ პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ „იუვენტუსს" დატოვებენ ბონეკი და როსი. ჯერჯერობით კი „ბებერი ქალბატონის" საბრძოლო შემადგენლობა ასეთია: ბოდინი, ფავერო, კარიკოლა, შირეა, კაბრინი, ბონინი, ტარდელი, პლატინი, ბრიასკი, ბონეკი, როსი. ახალგაზრდა მოთამაშეთა მხარდამხარ თამაშობენ გამოცდილი ფეხბურთელებიც. ცენტრალური მცველი გაეტანო შირეა, რომლის გარეშეც „იუვენტუსის" თამაში ჯერჯერობით წარმოუდგენელია, 25 მაისს 32 წლისა გახდა. მეკარე ლუჩანო ბოდინი, რომელიც კარგა ხანს დინო ძოფის დუბლიორი იყო, 31 წლისაა. მალე ამდენივე შეუსრულდება მარკო ტარდელისაც. გუნდის სული და გული მიშელ პლატინი 21 ივნისს 30 წლის გახდება. ამ ასაკს მიუახლოვდნენ ზბიგნევ ბონეკი და პაოლო როსიც. ასე რომ, „იუვენტუსის" წინაშე მწვავედ დგება საკითხი: „დღეს ან არასოდეს!".

გიგი გამრეკელი.

რიაზანის ტრადიციული ავტოკროსი

სოფელ სემენო-ოლენინსკოეს მახლობელ ფერდობებზე, რომელიც ქალაქ რიაზანიდან ოციოდე კილომეტრითაა დაცილებული, თავი მოიყარეს საბჭოთა ქვეყნის უძლიერესმა ავტომრბოლელებმა. აქ ჩატარდა ტრადიციული ავტოკროსი „გამარჯვების დღე", რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სპორტსმენები.

კროსში ჩაებნენ „ვოლგის", „მოსკვიჩის", „ჟიგულის" „უაზ-469"-ის და „ზაგის" ტიპის მანქანები. მიუხედავად ტრასის სირთულისა, რასაც თავსხმა წვიმები დაერთო, შეჯიბრება საინტერესოდ ჩატარდა.

„ვოლგის" კლასის ავტომანქანებით კროსში პირველი იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, ახალგაზრდა სპორტსმენი, ოსტატობის კანდიდატი ლევან ღლონტი. სულ რამდენიმე წუთით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასულ ესტონელ სპორტსმენს თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი არკადი პალევანიანი, რომელმაც III საპრიზო ადგილი დაიკავა.

გურამ მგალობლიშვილი.

კალათბურთი

პარიზი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა დაამთავრა ევროპის ჩემპიონატისათვის სამზადისი. საფრანგეთის ქალაქ დეპეში მან დიდი საერთაშორისო ტურნირი მოიგო: ფინალში „ევროპის ვარსკლავთა" ნაკრები დაამარცხა — 118:110. ამის შემდეგ ფინალისტები კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად, ქალაქ ტრუაიეში. საბჭოთა კალათბურთელებმა ეს მატჩიც მოიგეს — 120:106.

გდანსკი. აქ ჩატარდა კალათბურთელ გოგონათა ახალგაზრდული გუნდების დიდი საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში რვა ეროვნული ნაკრები გამოდიოდა. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის კალათბურთელები. ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს — 71:65. საბჭოთა [illegible] თავი გამოიჩინა [illegible] 20 ქულა. ტურნირში მეორე უნგრეთის გუნდი იყო, მესამე ადგილი ჩინეთის კალათბურთელებმა დაიკავეს.

ინფორმაცია

ფეხბურთი

რუმინეთში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 18 წლის ასაკამდე ფეხბურთელთათვის მასპინძელი ქვეყნისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს რუმინელებმა — 3:2 (2:0).

ჩოგბურთი

პარიზი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატში პირველ წარმატებას მიაღწია საბჭოთა ჩოგბურთელმა ანდრეი ჩესნოკოვმა. მან ამერიკელ ეგონ ადამსი დაამარცხა — 6:2, 6:2, 6:1. ტურნირის ფავორიტებად ითვლებიან: ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი, ამერიკელები ჯონ მაკინროუ და ჯიმ კონორსი, აგრეთვე, შვედი მატს ვილანდერი.

სხვათა შორის

ნაპოლეონის უკანასკნელი შეცდომა

1816 წელი იყო. საფრანგეთის ყოფილ იმპერატორს, წმინდა ელენეს კუნძულზე სამუდამოდ გადასახლებულ ნაპოლეონ ბონაპარტს ერთმა ახლობელმა მეგობარმა სპილოს ძვლისა და ნეფრიტისაგან ნაკეთები მშვენიერი ჭადრაკი გაუგზავნა საჩუქრად.

დღე ისე არ გავიდოდა, რომ ნაპოლეონს ხელში არ აეღო ჭადრაკის მოხდენილი ფიგურები. უყურებდა და ტკბებოდა მათი სილამაზით, მერე კი დაჯდებოდა და თავის თავს ეთამაშებოდა. სახელგანთქმული ტუსაღის სიკვდილის შემდეგ ეს ჭადრაკი არაერთგზის გაიყიდა აუქციონებზე მანამდე გაუგონარ ფასად, მაგრამ მხოლოდ ახლახან მისმა უკანასკნელმა მფლობელმა შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთ ფიგურას ძირი ეხსნებოდა. იმპერატორის მეგობარს ფიგურის ღრუში კუნძულიდან გაქცევის საგულდაგულოდ დამუშავებული გეგმა ჩაედო. ნაპოლეონი ვერ მიხვდა, რომ ფიგურისთვის ძირი უნდა მოეხსნა და შეთავაზებული გეგმა ვერ გამოიყენა. ბედმა კიდევ ერთხელ გამოუცხადა შამათი ნაპოლეონ ბონაპარტესო, წერს შვეციის გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი".

რედაქტორი ა. გოგელია.

თევზჭერის მოყვარულთა საყურადღებოდ!

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, „საქშავზღვათევზდაცვა", „მონკავშირი", საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო და თბილისის პარტიზანთა სახელობის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის დირექცია, კვირას, 2 ივნისს ლისის ტბაზე აწყობენ გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ თევზჭერის მოყვარულთა საქალაქო შეჯიბრება-კონკურსს.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველთა აღრიცხვა იწარმოებს 31 მაისის ჩათვლით, თბილისის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებაში (მაჩაბლის ქ. № 16. 99-91-79). 2 ივნისს, 7 საათსა და 30 წუთზე რეგისტრაცია გაგრძელდება ლისის ტბაზე.

მეთევზეებს თან უნდა ჰქონდეთ ანკესი, სათადარიგო მოწყობილობა და სატყუარა.

შეჯიბრება 8 საათზე დაიწყება. გამარჯვებულთა დაჯილდოების შემდეგ მოეწყობა სპორტული ზეიმი წყალზე.

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„ზართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხომარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე [illegible]